DAAD Deutscher Akademischer Austausch Dienst
German Academic Exchange Service

სამაგისტრო სტიპენდიები ეკონომისტებისთვის
ERP-Studienstipendium für Graduierte der Wirtschaftswissenschaften

მიზანი:

სამაგისტრო კურსის გავლა გერმანიის უმაღლეს სასწავლებელში , მაგისტრის ხარისხის დაცვით.

ხანგრძლივობა:
10 - 24 თვემდე. სტიპენდია თავდაპირველად გაიცემა ერთ აკადემიურ წელზე და მაღალი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში გრძელდება.

მიზნობრივი ჯგუფი:
ეკონომიკური ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტები, რომლებიც განაცხადის შემოტანის მომენტში იმყოფებიან მე-4 კურსზე ან უკვე დაასრულეს სწავლა და აიღეს ბაკალავრის დიპლომი

კონკურსის პირობები:
ენის ცოდნის მაღალი დონე
კარგად ჩამოყალიბებული მოტივაცია

საჭირო საბუთები:
საბუთები გროვდება **4** ოთხ ეგზემპლარად (1 ორიგინალი (იგულისხმება არა დედანი, არამედ ნათარგმნი და დამოწმებული დოკუმენტი) და 3 ასლი).

ფორმულარი ივსება გერმანულ ან ინგლისურ ენაზე. თარგმანები შეიძლება შესრულებულ იქნას როგორც გერმანულ, ისე ინგლისურ ენაზე.

- Online- ფორმულარი : ფორმულარის შევსების წესი შეგიძლიათ იხილოთ DAAD-ს ვებ-გვერდზე. www.ic.daad.de/tbilissi - სტიპენდიები).
- 4 ფოტოსურათი (ფოტო ორიგინალი)
- ავტობიოგრაფია (CV)
- მოტივაციის წერილი (არჩეული სამაგისტრო კურსის მიზანი და შინაარსი, დარგობრივი, ენობრივი და ფორმალური წინაპირობები, აქამდე მიღებული განთლება და მომავალი გეგმები).
- ინტერნეტიდან ამობეჭდილი ინფორმაცია არჩეული სამაგისტრო კურსის შესახებ (გთხოვთ იხელმღვანელოთ DAAD-ს ვებ-გვერდზე განთავსებული ფორმულარით. www.ic.daad.de/tbilissi-სტიპენდიები)
- ერთი ქართველი პროფესორის რეკომენდაცია (ივსება შესაბამისი ფორმულარი. www.ic.daad.de/tbilissi-სტიპენდიები).
- ბაკალავრის დიპლომი ნიშნების ფურცელთან ერთად (მას შემდეგ რაც დოკუმენტი ითარგმნება გერმანულ ენაზე, საჭიროა მისი ნოტარიული დამოწმება). ბაკალავრის დიპლომის არ არსებობის შემთხვევაში კონკურსანტი წარადგენს ამონაწერს სტუდენტის ბარათიდან განვლილი სემესტრული ნიშნებით.
- საშუალო სკოლის ატესტატი ნიშნების ფურცელთან ერთად (მას შემდეგ რაც დოკუმენტი ითარგმნება გერმანულ ენაზე, საჭიროა მისი ნოტარიული დამოწმება).
- ენის ცოდნის დამადასტურებელი მოწმობა.
  კონკურსანტებისთვის, რომლებიც არ ფლობენ გერმანული ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს (TestDaF, DSD, ZMP, KDS), სავალდებულოა onDaF (www.ondaf.de) ტესტის გავლა. დამატებითი ინფორმაცია რეგისტრაციის შესახებ).

ინგლისური ენის სერთიფიკატი: TOEFL, IELT, CFA, CAE, CPE ან ცნობა ტესტის გავლის რეგისტრაციის შესახებ.

თუკი სპეციალობა მოითხოვს: GRE, GMAT ან ცნობა რეგისტრაციის შესახებ

- პრაქტიკის, საზღვარგარეთ სწავლების ან სხვა სახის სერთიფიკატები (თუკი არსებობს).
- გამოქვეყნებულ სტატიათა სია.

საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას მოცემული თანმიმდევრობით !

არასრული საბუთები არ განიხილება !

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ DAAD-ს ვებ-გვერდზე !

საბუთების მიღების ბოლო ვადა: 29 ოქტომბერი 2010 (18:00 სთ)

თბილისი, ზანდუკელის 16 / ტელ: 920-926 / მიღების საათები: 14.00-18.00 სთ.

www.ic.daad.de/tbilissi